

ფინანსური ინსტიტუტების ჩართულობის პირველი ნაბიჯები კრიპტოაქტივების ეკონომიკასთან ინტეგრაციის გზაზე

ეკა ავალიანი
სტუდ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

კრიპტო აქტივები ანუ იგივე ციფრული აქტივები წარმოადგენენ აქტივების ახალ კლასს, რომელიც თავისთავში აერთიანებს ფულის, საქონლისა და ტექნოლოგიების გარკვეული ტიპის მახასიათებლებს. მათი ეკონომიკური ბუნება მრავალფეროვანია და მისი შესწავლა მოიცავს ისეთ ეკონომიკურ ასპექტებს როგორცაა: ციფრული ფულის ემისია, ციფრული ფულის ფუნქციონალური და სამართლებრივი ანალიზი, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა დაცვასა და უკანონო ტრანზაქციების წინააღმდეგ მიმდინარე ღონისძიებების გატარებას.

დღევანდელ ფინანსურ სამყაროში არსებული რისკების და წინააღმდეგობების მიუხედავად კრიპტო აქტივები ეკონომიკაში ინტეგრაციის მიმართულებით სტაბილურად აგრძელებენ განვითარებას. შესაბამისად მათ მიმართ იზრდება როგორც ინვესტორების, ასევე სახელმწიფო მთავრობების, საბანკო სისტემის და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დაინტერესება.

სტატიაში მიმოხილულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და საბანკო სექტორის დამოკიდებულებები და მათ მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები, რომელიც ემსახურება არსებულ ფინანსურ სამყაროში კრიპტო აქტივების ინტეგრაციის პროცესებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი (FATF), ფინანსური რეგულირების საერთაშორისო კომიტეტი, ევროპის საბანკო ორგანო (EBA) და ისეთი მიშვნელოვანი საბანკო ინსტიტუტები როგორიცაა: Goldman Sachs, JPMorgan Chase & Co, Morgan Stanley, Citigroup, BNY Mellon (The Bank of New York Mellon Corporation) უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ საერთაშორისო მარეგულირებელი და ტექნიკური სტანდარტების შემუშავებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ დეცენტრალიზებული ფინანსური ინსტრუმენტების უსაფრთხოების, გამჭვირვალობის და თავსებადობის ხელშეწყობას.

საკვანძო სიტყვები: კრიპტო აქტივი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, ციფრული ფული, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ბლოკჩეინ ტექნოლოგია, ფინტექ კომპანიები (ფინანსური ტექნოლოგიების მიმწოდებელი კომპანიები), ბიტკოინის ფიურერსი.

INITIAL STEPS IN THE INTEGRATION OF CRYPTO ASSETS BY FINANCIAL INSTITUTIONS INTO THE GLOBAL ECONOMY

Eka Avaliani
PHD student at GTU

INTRODUCTION

Crypto assets, also known as digital assets, are a new class of assets that combine characteristics of money, certain goods and technology. Their economic nature is diverse, and its study includes such economic aspects as: emission of digital money, functional and legal analysis of digital money, which is aimed at consumer protection and implementation of ongoing measures against illegal transactions.

Despite the risks and contradictions in today's financial world, crypto assets continue to develop steadily in the direction of integrating into the global economy. Accordingly, the interest of investors, state governments, banking system and international financial institutions is increasing.

The article reviews the standpoints of international financial institutions and the banking sector as well as the first steps taken by them, which serve the processes of integration of crypto assets in the existing financial world.

International Monetary Fund (IMF), Financial Action Task Force (FATF), International Cooperation on Financial Regulation, European Banking Authority (EBA) and such important banking institutions as: Goldman Sachs, JPMorgan Chase & Co, Morgan Stanley, Citigroup, BNY Mellon (The Bank of New York Mellon Corporation) plays an important role in the development of international regulatory and technical standards that ensure the promotion of security, transparency and compatibility of decentralized financial instruments.

Key words: crypto asset, international financial institutions, digital money, International Monetary Fund, blockchain technology, fintech companies (financial technology companies), bitcoin futures

დეცენტრალიზებული ფინანსური სერვისების მხარდაჭერა ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების მიერ არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი კრიპტო აქტივების ფინანსურ სისტემაში ინტეგრაციისთვის. გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდია (სსფ), რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალური ეკონომიკური პოლიტიკისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებაში. არსებული რეალობის გათვალისწინებით სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს გლობალურ ფინანსურ სტაბილურობაზე ზრუნვას რაც გამოიხატება იმ ძირითადი რეკომენდაციებითა და შეხედულებებით, რომელიც სსფ-მა შეიმუშავა კრიპტო აქტივებთან დაკავშირებით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი კრიპტო აქტივებთან დაკავშირებული რისკების მართვისთვის ხაზს უსვამს ყოვლისმომცველი მარეგულირებელი ჩარჩოების საჭიროებას, რომელიც მოიცავს მომხმარებელთა დაცვასთან, ფულის გათეთრების წინააღმდეგ (AML) და ტერორიზმის დაფინანსების (CFT) ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოუწოდებს ქვეყნებს, გამოიკვლიონ CBDC-ების (Central bank digital currency). ცენტრალური ბანკის ციფრული ფულის განვითარება, როგორც ციფრული ვალუტების უპირატესობების გამოყენების გზა, მონეტარული პოლიტიკისა და ფინანსური სტაბილურობის კონტროლის დროს.

კრიპტო აქტივების ტრანსსასაზღვრო ბუნების გათვალისწინებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხარს უჭერს საერთაშორისო თანამშრომლობას. მარეგულირებელი მიდგომების შემუშავებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის. საფინანსო ინსტიტუტებს ასევე მოუწოდებს შეაფასონ კრიპტო აქტივების პოტენციური რისკები, მათ შორის ბაზრის არასტაბილურობა, კიბერუსაფრთხოების საფრთხეები და ფინანსური არასტაბილურობის პოტენციალი.

მნიშვნელოვანია, რომ სავალუტო ფონდი რეკომენდაციას უწევს კრიპტო ტრანზაქციებთან დაკავშირებული მკაფიო საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებას, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გადასახადებისგან თავის არიდების რისკები.

გაცემულ რეკომენდაციებში სავალუტო ფონდი ყურადღებას ამახვილებს, როგორც საზოგადოების განათლების მნიშვნელობაზე კრიპტო აქტივების რისკებისა და სარგებლიანობის შეფასების კუთხით, ასევე ინვესტორებს შორის ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობასა და აუცილებლობაზე.

კრიპტოაქტივების ეკონომიკაში ინტეგრაციის კუთხით ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ფი-

ნანსური სამოქმედო სამუშაო ჯგუფსა (FATF) და ფინანსური რეგულირების საერთაშორისო კომიტეტს (ICFR). FATF ამზადებს დირექტივებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ (AML/CFT), რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კრიპტო აქტივების და დეცენტრალიზებული ფინანსური ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების უსაფრთხოებისათვის. საერთაშორისო ფინანსური მარეგულირებელი ორგანო ასევე მუშაობს კრიპტოვალუტების და დეცენტრალიზებული ფულის რეგულირების სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაზე.

ევროკავშირის ფარგლებში, დეცენტრალიზებული ფულის სტანდარტების შემუშავებაზე მუშაობას ახორციელებს ასევე ევროპის საბანკო ორგანო (EBON), რომელიც პასუხისმგებელია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საბანკო სისტემის რეგულირებაზე. ეს ორგანო კრიპტოვალუტის კომპანიებისა და ბირჟებისათვის, ახორციელებს ახალი სტანდარტებისა და გაიდლაინების შექმნას რათა უზრუნველყოს მათი ფუნქციონირება მარეგულირებელ მოთხოვნებთან და უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობაში.

მიუხედავად იმისა, რომ კრიპტო აქტივები კონკურენციას უწევს ტრადიციულ საბანკო სისტემას, ზოგიერთი ბანკი ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად იწყებს ინტერესის გამოხატვას ამ სფეროს მიმართ და მის ინტეგრირებას თავის ოპერაციებში.

2021 წელს Goldman Sachs-მა თავისი კლიენტებისთვის განაახლა ბიტკოინის ფიუჩერსებით ვაჭრობა. რაც მიანიშნებს კრიპტოვალუტებში ინვესტირების მიზნების ინტერესს. ბანკმა ასევე განახორციელა ინვესტიცია კრიპტოვალუტის ფონდში, რაც ხაზსუსვამს მათ რწმენას ამ ბაზრის პერსპექტივების მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ Goldman Sachs-მა კლიენტებს უფლება მისცა, სხვადასხვა ფინანსური პროდუქტების საშუალებით მოახდინონ ინვესტირება ბიტკოინის ფონდებში და კრიპტოვალუტის აქტივებში.

Goldman Sachs ასევე დაინტერესებულია ინოვაციური ბლოკჩეინისა და DeFi პროექტებით, რომლებმაც მომავალში შესაძლოა შეცვალონ ფინანსური სერვისების ლანდშაფტი. შესაბამისად ბანკი ახორციელებს ანალიტიკურ ანგარიშებსა და კვლევებს კრიპტოვალუტებთან და მათ ბაზართან დაკავშირებით, რაც მიუთითებს ამ სფეროს შესწავლის სერიოზულ მიდგომაზე.

Goldman Sachs-ის ინტერესი კრიპტოვალუტებით, მიუთითებს ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტების შეხედულებების ევოლუციაზე კრიპტოვალუტებისა და ბლოკჩეინის ტექნოლოგიების მიმართ. ასევე გამოხატავს ბანკის მცდელობას მოერგოს ფინანსური ინდუსტრიის ცვალებად ტენდენციებს და დააკმაყოფილოს თავისი კლიენტების

ინტერესები კრიპტო აქტივების ინვესტიციებთან დაკავშირებით.

კრიპტოვალუტების და ბლოკჩეინის ტექნოლოგიებისადმი მზარდი ინტერესის ფონზე, რამდენიმე სხვა მსხვილმა ბანკმა და ფინანსურმა ინსტიტუტმა ასევე გამოიჩინა ინტერესი და ინვესტიცია განახორციელა კრიპტოვალუტაში ან კრიპტოვალუტათან დაკავშირებულ კომპანიებში.

JPMorgan Chase & Co. მიუხედავად იმისა, რომ კრიპტოვალუტების მიმართ, თავდაპირველად სკეპტიკურად იყო განწყობილი არსებული რეალობის გათვალისწინებით ბოლო წლებში დაიწყო პოზიციის შეცვლა და ბანკთაშორის გადახდების გასამარტივებლად გამოუშვა თავისი კრიპტოვალუტა JPM Coin. პარალელურად ატარებს ექსპერიმენტებს ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე ფინანსური პროცესების გასამარტივებლად.

ისეთმა მნიშვნელოვანმა საბანკო ინსტიტუტმა როგორც მორგან სტენლი (Morgan Stanley) დაიწყო თავისი კლიენტებისთვის წვდომის მიცემა კრიპტოვალუტის ფონდებსა და საინვესტიციო პროდუქტებზე. კლიენტების ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად საბანკო სისტემა აქტიურად სწავლობს კრიპტოვალუტის და ბლოკჩეინის ბაზრებს, აქვეყნებენ ანალიტიკურ ანგარიშებს და გვთავაზობენ საინვესტიციო სტრატეგიებს.

სიტigrupმა (Citigroup) გამოაქვეყნა ანგარიშები, რომლებიც აანალიზებს კრიპტოვალუტის ბაზარს, იკვლევს ტენდენციებს, რისკებს და პოტენციურ მარეგულირებელ ზემოქმედებას. ბანკმა შეისწავლა ისეთი სერვისების შეთავაზება, როგორიცაა ციფრული აქტივების მეურვეობის გადაწყვეტილებები, რომელიც მიმართულია ინსტიტუციურ კლიენტებზე.

არსებული ოპერაციებისა და გადახდის სისტემების გაუმჯობესების მიზნით Citigroup მა გამოიკვლია ბლოკჩეინ ტექნოლოგიების გამოყენება. კრიპტოაქტივებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შემუშავებისათვის ბანკი აწარმოებს პარტნიორობას ფინტექ კომპანიებთან. გარდა აღნიშნულისა ბანკი ჩართულია დისკუსიებში მარეგულირებლებთან.

BNY Mellon (The Bank of New York Mellon Corporation) ბანკმა გამოაცხადა ინოვაციური განყოფილების შექმნა, რომელიც ჩაერთვება ბლოკჩეინის ტექნოლოგიებისა და კრიპტოვალუტების კვლევისა და განვითარებაში.

HSBC (Hongkong and Shanghai Banking Corporation) გამოხატა დაინტერესება ბლოკჩეინის ტექნოლოგიის შესწავლით ფინანსური ტრანზაქციებისა და გადახდების გასაუმჯობესებლად.

ფაქტია, რომ ტრადიციული საბანკო სისტემის მიერ სხვადასხვა ხარისხის ინტერესის გამოვლენა კრიპტო აქტივების და ბლოკჩეინის ტექნოლოგიების მიმართ, მათ მიერ ახალი პოტენციალის ძიება ფი-

ნანსური პროცესების გამარტივებისა და კლიენტებისთვის ახალი სერვისების მიწოდების მიზნით. აჩვენებს, რომ ტრადიციული საბანკო სისტემა აღიარებს დეცენტრალიზებული ტექნოლოგიების პოტენციალს ფინანსური პროცესების გამარტივებისთვის.

დასკვნა

საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დეცენტრალიზებული ფულის სტანდარტების შემუშავებაში, უზრუნველყოფენ მის თავსებადობას, უსაფრთხოებას და გამჭვირვალობას გლობალურ ფინანსურ სივრცეში. მათი რეკომენდაციები და სტანდარტები გავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობასა და პოლიტიკაზე, რაც ხელს უწყობს უფრო ხელსაყრელი გარემოს შექმნას დეცენტრალიზებული ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავებისა და გამოყენებისთვის.

ზემოთ განხილული რეკომენდაციები მიზნად ისახავს შექმნას დაბალანსებული მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციებს, პარალელურად კი უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობას და იცავს მომხმარებლებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიჭინავა ა. „ეკონომიკური კვლევის მეთოდები“ სალექციო კურსი თბ 2019წ
2. ცომიაია ა. „თანამედროვე მაკროეკონომიკა“. წიგნი1 თბ 2022წ საქ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. ჯოლია გ. „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ თბ 2015წ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. Андрюшин С.А. Смена парадигмы денежной системы: от централизации к децентрализации // Актуальные проблемы экономики и права. 2018. № 2.
5. Щеголева Н.Г., Мальсагова П.Г. Криптовалюты как вектор диджитализации мировой валютной системы: риски и тренды // Государственное управление. Электронный вестник. 2019. № 74. С.
6. The 2020 Geography of Cryptocurrency Report. — URL: <https://bitcoinke.io/wp-content/uploads/2020/09/2020-Geography-of-Crypto-Report-Chainalysis-compressed.pdf> (გადამოწმებულია 04.03.2023წ)
7. Sarnakov I. "DIGITAL FINANCIAL ASSETS: SEGMENTS AND PROSPECTS OF LEGAL REGULATION IN THE BRICS COUNTRIES. BRICS "Law Journal. 2019;6(4):95-113. <https://doi.org/10.21684/2412-2343-2019-6-4-95-113>(გადამოწმებულია 12.09.2024წ)
8. "What is The Future of Crypto in the Banking Sector?" <https://b2binpay.com/en/what-is-the-future-of-crypto-in-the-banking-sector/2024.13.06> (გადამოწმებულია 7.09.2024წ)